

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა ისტორიის საბაკალავრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ისტორია
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია 0222.1.2
ისტორიის ბაკალავრი/Bachelor of History
პროგრამის ხელმძღვანელები
თამარ გვიანიშვილი დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.
პროგრამის მოცულობა
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი კვალიფიკაციის მისაღებად. ისტორიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს ფართო არჩევანის შესაძლებლობას, დაგეგმოს საკუთარი საგანმანათლებლო პროფილი. პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტებისგან. ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი. წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 156 კრედიტს, ხოლო არჩევით

კომპონენტში 84 კრედიტს.

ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 141 კრედიტს, საიდანაც 81 კრედიტი განკუთვნილია სპეციალობის სავალდებულო კურსებისთვის, 48 კრედიტი ინგლისურის, ხოლო 12 კრედიტი განსაზღვრულია პრაქტიკის კომპონენტისთვის

სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებში სავალდებულოა სტუდენტმა დააგროვოს 51 კრედიტი. რომელშიც შედის კვლევითი კომპონენტი. კვლევით კომპონენტს სტუდენტი განახორციელებს ან საბაკალავრო ნაშრომის (12 კრედიტი) ან ჯგუფური კვლევითი პროექტის (6 კრედიტი) სახით.

თავისუფალი კომპონენტის სფეროში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 48 კრედიტი, რომელიც მოიცავს 18 სავალდებულო და 21 არჩევით კრედიტს, რომელის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს ჩამოყალიბოს და/ან გაუღრმავოს ზოგადი ტრანსფერული უნარები და გაუფართოვოს ცოდნა მისთვის საინტერესო სფეროებში.

თავისუფალ კომპონენტი - 9 კრედიტი, რომლის დაგროვებაც სტუდენტს შეუძლია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლაში ან შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

სწავლების ენა

ქართული ენა

პროგრამის მიზანი

ისტორიის პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს პროფესიულ ცოდნას, გამოირჩევა ფართო ერუდიციით, აღჭურვილია როგორც დარგობრივი ისე წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო ზოგადი, ტრანსფერული უნარ - ჩვევებით. პროგრამის მიზანია მომავალ სპეციალისტს ჩამოუყალიბოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, როგორც საკუთარი ისე სხვა ერების ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემა.

აქედან გამომდინარე ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია

1. სტუდენტს მისცეს საბაზო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში უძველესი დროიდან დღემდე. შეასწავლოს, ძირითადი ცნებები და ტერმინები, რომლებითაც ოპერირებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. ასწავლოს ისტორიული პროცესების

გააზრება, ფაქტობრივი მასალის გაანალიზება. გააცნოს ისტორიულ წყაროთა მრავალფეროვნება. შეასწავლოს ისტორიულ წყაროებსა და ტექსტებზე მუშაობა. წყაროების ერთმანეთთან შეჯერება. გამოუმუშავოს ისტორიული ფაქტებისა და პრობლემების ანალიზის, გააზრებისა და დისკუსიის კულტურა.

2. შეასწავლოს სტუდენტებს არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის საფუძვლები. გააცნოს საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილი მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლები და ქართული ეთნოკულტურა. შეასწავლოს ბაკალავრებს სამუზეუმო და საარქივო საქმე.
3. ხელი შეუწყოს სტუდენტს თანმიმდევრულად დაეუფლოს პრაქტიკულ ინგლისურ ენას B 2 + დონეზე. შეასწავლოს დარგობრივი ტერმინოლოგია. გამოუმუშავოს სწრაფი კითხვის, მოსმენისა და მოსმენილი მასალის ადეკვატური აღქმის უნარი ინგლისური ენის სხვადასხვა სირთულის მასალაზე. ხელი შეუწყოს ინგლისურ ენაზე (*აღნიშნულ დონეზე*) პროფესიული პრეზენტაციის მომზადებაში.
4. სასწავლო პროცესის მოთხოვნილებიდან გამომდინარე სტუდენტი ჩასწავდეს ციფრული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არსსა და მნიშვნელობას. გამოუმუშავოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები, როგორც სამეცნიერო ისე რეალური ცხოვრების ყველა სფეროში.
5. გამოუმუშავოს კვლევითი კომპონენტის ნაშრომზე მუშაობის უნარ-ჩვევები და ჯგუფურ პროექტზე მუშაობის კულტურა. პასუხისმგებლობით მოეკიდოს აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვას.
6. დაეხმაროს გამოიმუშავოს სათანადო ინდივიდუალური სტრატეგიები საკუთარი სასწავლო პროცესის ავტონომიური დაგეგმვისა და ეფექტური მართვის მიზნით. ჩამოუყალიბოს თავისუფალი, კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება. გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა. მაღალი ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების ერთიანი სისტემა. ეთიკური ქცევის კოდექსის ფარგლებში, გამოუმუშავოს ტოლერანტობა განსხვავებული აზრისა და კულტურის მიმართ.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩაირიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

დასაქმების სფერო

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო

ორგანიზაციებში, კერძო სტრუქტურებში. სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში.

აქედან გამომდინარე, ისტორიის ბაკალავრის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ:

- დამხმარე მასწავლებლებად სკოლებში და გახანგრძლივებული კლასების მასწავლებლებად. სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, როგორც ტრადიციული ისე დისტანციური/ ონლაინ სწავლების პირობებში.
- მათ შეეძლებათ დაიკავონ დამხმარე ფუნქცია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და ცენტრებში.
- ისინი შესძლებენ იმუშაონ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში არაკადემიურ თანამდებობებზე.
- არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ ექსპედიციებში.
- სხვადასხვა ტიპის მუზეუმებში, ისტორიულ და სხვა დანიშნულების არქივებში.
- უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში.
- სახელმწიფო და კერძო გამომცემლობებში, რედაქციებში. სპეციალურ სამეცნიერო და ენციკლოპედიების რედაქციებში დამხმარე პოზიციებზე.
- დასაქმება შესაძლებელია ტურიზმის სფეროში კერძოდ: გიდებად, სარეკლამო და საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტებისა და ფლაერების შემდგენელად ტურისტულ, სარეკლამო და საინფორმაციო სააგენტოებში.
- უხო ენის მაღალ დონეზე ცოდნა ისტორიასთან და ქართულ ეთნოკულტურასთან ერთად განაპირობებს მათ დასაქმებას ტურისტულ კომპანიებში ექსკურსიამდლოლებად და ექსკურსიის ორგანიზატორებად.
- საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებების თანამშრომლებად საბრენდო მაღაზიებსა, ბანკებსა და კომპანიებში.
- კორესპონდენტებად და კორესპონდენტების ასისტენტებად ტელეკომპანიებსა და ჟურნალ-გაზეთებში
- რადიოში და ტელევიზიაში როგორც დარგობრივი ისე საინფორმაციო გადაცემების რედაქციის თანამშრომლებად.
- დარგობრივი ვებ-გვერდის ტექსტური ნაწილის შემდგენელ-რედაქტორ-კორექტორებად.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით მსოფლიო ისტორიის, საქართველოს ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოლოგიის ისე სხვა მისთვის საინტერესო ჰუმანიტარულ, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით თუ ეს ქმედება წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

სწავლის შედეგები

ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებული:

1. ფლობს მსოფლიო ისტორიის საბაზო ცოდნას. აცნობიერებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური აზროვნების სპეციფიკას და მნიშვნელობას ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. განმარტავს შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოების განვითარების პროცესს. გააზრებული აქვს ევროპის სახელმწიფოების ახალ და უახლესი ისტორია და ამერიკის შეერთებული შტატების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. გააზრებული აქვს საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. აანალიზებს და აფასებს საქართველოს ადგილსა და როლის კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებში. არგუმენტირებულად მსჯელობს და კრიტიკულად იაზრებს საქართველოს ურთიერთობის ისტორიას მეზობელ სახელმწიფოებთან.
2. ფლობს არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის საფუძვლების ცოდნას. გაცნობიერებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებისა და ეთნიკური კულტურის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. აქვს სამუზეუმო და საარქივო საქმის ცოდნა. გააზრებული აქვს არქივისა და მუზეუმის დანიშნულება და მნიშვნელობა.
3. აცნობიერებს ისტორიის კვლევისა და წარსულის რეკონსტრუქციისათვის საჭირო სამეცნიერო მეთოდებს, კვლევის პროცესში ისტორიული წყაროების მიზანმიმართული გამოყენების მნიშვნელობას. აქვს ისტორიულ წყაროებში ასახული მოვლენებისა და ფაქტების კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი. იყენებს ცნებებს და ტერმინებს, რომლებითაც ოპერირებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. გააზრებული აქვს ისტორიული პროცესი და აანალიზებს ფაქტობრივ მასალას, განსაზღვრავს ისტორიული ეპოქების ძირითადი მახასიათებლებს. ისტორიული მეცნიერებების სფეროში მიღებულ ცოდნას ადეკვატურად იყენებს პრაქტიკაში.
4. ფლობს ინგლისურ ენას B + 2 დონეზე. აქვს როგორც წერიტი ისე ზეპირი კომუნიკაციის, კრიტიკული აზრის გამოთქმის და დისკუსიაში ჩართვის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამზადებს პრეზენტაციას აღნიშნულ დონეზე.
5. ფლობს კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესის მოთხოვნილებიდან გამომდინარე აცნობიერებს სპეციალისტისთვის ტრანსფერული უნარების მნიშვნელობას. აქვს კომუნიკაციის ძირითადი ნიშნებისა და ინდიკატორების ცოდნა. აცნობიერებს ინფორმაციული საზოგადოების კულტურაში არსებული ადამიანის ყოფიერების თავისებურებებს.
6. ამზადებს პრეზენტაციებს და საჯარო გამოსვლებს ისტორიული ტერმინოლოგიის და საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენებით. სათანადოდ იყენებს აკადემიური წერისა და მეტყველების კულტურის

მოთხოვნებს. აუდიტორიის ფაქტორისა და ინტერესების გათვალისწინებით ფლობს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების სწორად გამოყენების უნარს. მსჯელობს პრობლემებზე, მონაწილეობს დისკუსია-დებატებში. ყურადღებით ისმენს და აანალიზებს სხვათა შეხედულებებს თანამიმდევრულად და არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ აზრს.

7. აქვს მაღალი პასუხისმგებლობა და იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს პროფესიული ინფორმაციის მოძიების, მისი კრიტიკული გაანალიზების, ისტორიულ ესსეს, რეფერატის, საკურსოს და საბაკალავრო ნაშრომის დაწერისა და ჯგუფურ პროექტში მონაწილეობისას. დისკუსიის წარმოების დროს სათანადო არგუმენტებით იცავს საკუთარი პოზიციას. აქტიურად ერთვება გუნდური მუშაობის პროცესში და ამყდავენებს სხვისი აზრის პატივისცემის უნარს.

8. რეალურად აფასებს თავის შესაძლებლობებს, არის თვითკრიტიკული, მოტივირებული , ავტონომიურად გეგმავს სწავლის შემდგომ საფეხურს. უწყვეტი პროფესიული განვითარების ორგანიზებისა და განხორციელების მიმართულებით რაციონალურად მართავს დროსა და რესურსებს.

9. ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ფასეულობების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. აქვს ორგანიზატორული უნარი, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. აქვს საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა და პატივისცემა; იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები

- ლექცია ჯგუფში მუშაობა სემინარი პრაქტიკული მუშაობა
- საბაკალავრო ნაშრომი სასწავლო პრაქტიკა საშინაო დავალება/რეფერატი
- ესე ინდივიდუალური /ჯგუფური პროექტი ელექტრონული რესურსით სწავლება სხვა

აქტივობები:

- წიგნზე მუშაობა;
- წერიტი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;
- დემონსტრირება;
- დისკუსია/დებატები
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება

- გუნდური (collaborative) მუშაობა;
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა);
- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება)
- ელექტრონული რესურსით სწავლება

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.).

შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება

- (A) ფრიადი _ შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება

- (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- (FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;

- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. ფლობს მსოფლიო ისტორიის საბაზო ცოდნას. აცნობიერებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური აზროვნების სპეციფიკას და მნიშვნელობას ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. განმარტავს შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოების განვითარების პროცესს. გააზრებული აქვს ევროპის სახელმწიფოების ახალ და უახლესი ისტორია და ამერიკის შეერთებული შტატების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. გააზრებული აქვს საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტსტში. აანალიზებს და აფასებს საქართველოს ადგილსა და როლის კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებში. არგუმენტირებულად მსჯელობს და კრიტიკულად იაზრებს საქართველოს ურთიერთობის ისტორიას მეზობელ სახელმწიფოებთან.

სამიზნე ნიშნული:

1 სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ისტორიის მეცნიერების შესავალი
- ძველი აღმოსავლეთის ისტორია
- ანტიკური ქვეყნების ისტორია
- შუა საუკუნეების ისტორია (I-II)
- ევროპის ახალი დროის ისტორია
- ევროპის უახლესი ისტორია
- აშშ-ს ისტორია (I)
- აშშ-ს ისტორია (II)
- საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე
- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

2. ფლობს არქეოლოგიასა და ეთნოლოგიის საფუძვლების ცოდნას. გაცნობიერებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებისა და ეთნიკური კულტურის

მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. აქვს სამუზეუმო და საარქივო საქმის ცოდნა და გააზრებული აქვს არქივისა და მუზეუმის დანიშნულება და მნიშვნელობა.

სამიზნე ნიშნული:

2 სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ზოგადი არქეოლოგია
- საქართველოს არქეოლოგია
- ისტორიის მეცნიერების შესავალი
- ზოგადი ეთნოლოგია
- ქართული ეთნოკულტურა
- არქივმცოდნეობა-მუზეუმმცოდნეობა

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

3. აცნობიერებს ისტორიის კვლევისა და წარსულის რეკონსტრუქციისათვის საჭირო სამეცნიერო მეთოდებს, კვლევის პროცესში ისტორიული წყაროების მიზანმიმართული გამოყენების მნიშვნელობას. აქვს ისტორიულ წყაროებში ასხული მოვლენებისა და ფაქტების კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი. იყენებს ცნებებს და ტერმინებს, რომლებითაც ოპერირებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება . გააზრებული აქვს ისტორიული პროცესი და აანალიზებს ფაქტობრივ მასალას, განსაზღვრავს ისტორიული ეპოქების ძირითადი მახასიათებლებს. ისტორიული მეცნიერებების სფეროში მიღებულ ცოდნას ადეკვატურად იყენებს პრაქტიკაში.

სამიზნე ნიშნული

3 სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ისტორიის მეცნიერების შესავალი
- წყაროთმცოდნეობა
- ისტორიული დისციპლინები
- ძველი აღმოსავლეთის ისტორია
- ანტიკური ქვეყნების ისტორია
- შუა საუკუნეების ისტორია (I-II)
- ევროპის ახალი დროის ისტორია
- ევროპის უახლესი ისტორია
- აშშ-ს ისტორია (I)
- აშშ-ს ისტორია (II)
- საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე
- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია
- ფილოსოფიის შესავალი
- ზოგადი ფსიქოლოგია

- პედაგოგია

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

4. ფლობს ინგლისურ ენას B + 2 დონეზე. აქვს როგორც წერითი ისე ზეპირი კომუნიკაციის, კრიტიკული აზრის გამოთქმის და დისკუსიაში ჩართვის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამზადებს პრეზენტაციას აღნიშნულ დონეზე.

სამიზნე ნიშნული

4 სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ინგლისური ენა A2, A2+, B1, B1+B2, B2+
- ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა A1, A1+, B1, B1+
- მეტყველების კულტურა, აკადემიური წერა
- ფილოსოფიის შესავალი
- პედაგოგია
- ზოგადი ფსიქოლოგი
- კომპიუტერული უნარები (I-II)

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

5. ფლობს კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესის მოთხოვნილებიდან გამომდინარე აცნობიერებს სპეციალისტისთვის ტრანსფერული უნარების მნიშვნელობას. აქვს კომუნიკაციის ძირითადი ნიშნებისა და ინდიკატორების ცოდნა. აცნობიერებს ინფორმაციული საზოგადოების კულტურაში არსებული ადამიანის ყოფიერების თავისებურებებს.

სამიზნე ნიშნული

- იყენებს Google-ის სერვისებს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მოპოვების მიზნით
- იყენებს სოციალურ მედიას კომუნიციისა და პროფესიული საქმიანობისთვის.
- იყენებს მრავალფეროვან საოფისე პროგრამებს პროფესიული პრეზენტაციის, კვლევითი პროექტის, საკონფერენციო მოხსენების, რეფერატის, საკურსოს სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის მომზადების პროცესში და მისი წარდგენის დროს:
 - Windows 7 / 10,
 - Ms. Word 2007 - 2013,
 - Ms. Excel 2007 - 2013,
 - Ms. Power Point 2007 -2013,
 - Internet Explorer

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / გუნდური მუშაობა / ინტერნეტ რესურსებით სწავლება/ ახსნა-განმარტებითი მეთოდი / პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება / დემონსტრირება / პრაქტიკული მეთოდები / თანამშრომლობითი სწავლება/ პრეზენტაცია / პროექტი

6. ამზადებს პრეზენტაციებს და საჯარო გამოსვლებს ისტორიული ტერმინოლოგიის და საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენებით. სათანადოდ იყენებს აკადემიური წერისა და მეტყველების კულტურის მოთხოვნებს. აუდიტორიის ფაქტორისა და ინტერესების გათვალისწინებით ფლობს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების სწორად გამოყენების უნარს. მსჯელობს პრობლემებზე, მონაწილეობს დისკუსია-დებატებში, ყურადღებით ისმენს და აანალიზებს სხვათა შეხედულებებს თანამიმდევრულად და არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ აზრს.

- არსებულ ციფრულ ტექნოლოგიურ რესურსზე დაყრდნობით მწყობრად წარადგენს საკონფერენციო თუ საპრეზენტაციო მასალას
- პრეზენტაციის/მოხსენების დროს აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით ეფექტურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს
- ადეკვატურად პასუხობს აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებს
- იცავს პრეზენტაციისა თუ მოხსენებისთვის განსაზღვრულ დროის ლიმიტს
- მეტყველებს ბუნებრივად აქვს კონტაქტი აუდიტორიასთან.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

/ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაცია/ვერბალური მეთოდი/ახსნა-განმარტებითი მეთოდი /დისკუსია/ დებატები/

7. აქვს მაღალი პასუხისმგებლობა და იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს პროფესიული ინფორმაციის მოძიების, მისი კრიტიკული გაანალიზების, ისტორიულ ესსეს, რეფერატის, საკურსოს და საბაკალავრო ნაშრომის დაწერისა და ჯგუფურ პროექტში მონაწილეობისას. დისკუსიის წარმოების დროს სათანადო არგუმენტებით იცავს საკუთარი პოზიციას. აქტიურად ერთვება გუნდური მუშაობის პროცესში და ამჟღავნებს სხვისი აზრის პატივისცემის უნარს.

სამიზნე ნიშნული

- სიღრმისეულად გაიაზრებს აკადემიური წერის პროცესს: ლოგიკურად ალაგებს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ მასალას.
- აქვს აკადემიური ტექსტის სათანადო ფორმით გაფორმების უნარი
- სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ეფექტურად აგებს წერითი ნაშრომის სტრუქტურას.
- აქვს მაღალი პასუხისმგებლობა ძუსტად მიუთითებს მის მიერ გამოყენებულ ისტორიკოსთა ნაშრომებსა და ციტატებს. დასკვნებს განამტკიცებს არგუმენტებით.
- აქვს გუნდური მუშაობის უნარი; აქტიურად ერთვება კონკრეტული თემის ჯგუფურ განხილვაში, ჯგუფის წევრებს საჭიროებისამებრ უზიარებს მის ხელთ არსებულ

ინფორმაციას, სვამს კრიტიკული ხასიათის კითხვებს, ყურადღებით ისმენს პასუხებს, გამოთქმული აზრების შეჯერების საფუძველზე ახდენს რეაგირებას ყველა ეთიკური ნორმის დაცვით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა /ისტორიული ესსე, რეფერატი, საკურსო კვლევითი პროექტი/სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი/ პრეზენტაცია/

8. ობიექტურად აფასებს თავის შესაძლებლობებს, არის თვითკრიტიკული, მოტივირებული. ავტონომიურად გეგმავს სწავლის შემდგომ საფეხურს. ყურადღებით ეცნობა ისტორიული მეცნიერების განვითარების პროცესს და პროფესიული განვითარების ორგანიზების მიმართულებით რაციონალურად მართავს დროსა და რესურსებს.

- ინტერესით აკვირდება ისტორიული მეცნიერების სიახლეებს ისტორიული და მუდმივად ანახლებს ცოდნას
- მოიძიებს ახალ ინფორმაციას, კრიტიკულად იაზრებს და იყენებს შემდგომი მუშაობისას.
- შეუძლია მეცნიერული სიახლეების აღწერა, გაანალიზება და შეფასება
- განსაზღვრავს საგანმანათლებლო საჭიროებებს და შეუძლია ავტონომიურად დაგეგმოს სწავლის შემდგომ საფეხური.
- სწორად მართავს და სათანადოდ იყენებს დროსა და მის ხელთ არსებულ სხვა რესურსებს.

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / კვლევითი პროექტი / ისტორიული ესსე, რეფერატი, საკურსო, სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / სასწავლო პრაქტიკა

9. ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ფასეულობების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. აქვს ორგანიზატორული უნარი, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. აქვს საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა და პატივისცემა; იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს.

სამიზნე ნიშნული

- პატივს სცემს განსხვავებული აზრის მქონე პირთა მოსაზრებებს
- არის სამართლიანი და იცავს დემოკრატიულ ღირებულებებს
- შეუძლია საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება.
- აკონტროლებს საკუთარ უნარ-ჩვევებს;
- აფასებს სხვების შესაძლებლობებს;
- იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ გადაწყვეტილებაზე და ინიციატივაზე

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / კვლევითი პროექტი / სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / სასწავლო პრაქტიკა

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუქა.

დანართი 2: CV - თამარ გვიანიშვილი